



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

საქმე №28/5970-15

15 თებერვალი, 2016 წელი
თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:
თავმჯდომარე - ხათუნა არევამე
მოსამართლეები: ლილი ტყემალაძე
ვანო წიკლაური

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი განხილვის გარეშე

კერძო საჩივრის ავტორები – შპს „**კ. ი.**“, **ბ. ჩ.**

მოწინააღმდეგე მხარეები - შპს „**ს. XX**“, სს „**თ.**“, შპს „**ვ. ქ.**“

გასაჩივრებული განჩინება - თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 09 დეკემბრის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ;

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება;

დავის საგანი - ზიანის ანაზღაურება; მიწის ნაკვეთის სერვიტუტით დატვირთვა

სასამართლომ გამოარკვია:

2015 წლის 09 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადება წარადგინეს შპს "**კ. ი.-მ**" და **ბ. ჩ.-მ** მოპასუხეების – შპს "**ს. XX**", სს "**თ.-ს**" და შპს "**ვ. ქ.-ს**" მიმართ და მოითხოვეს:



– მოპასუხეებს შპს "ს. XX" და სს "თ.-ს" შპს "ჭ. ი.-ს" სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ ზიანის ანაზღაურების სახით 168.220,33 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში;

– მოპასუხეებს შპს "ს. XX" და სს "თ.-ს", ბ. ჩ.-ს სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ ზიანის ანაზღაურების სახით 112.500 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში;

– სერვიტუტით დაიტვირთოს შპს "ვ. ქ.-ს" ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთი, რომელზეც განლაგებულია შპს "ჭ. ი.-ს" კუთვნილი ელექტრომეურნეობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 09 დეკემბრის განჩინებით შპს "ჭ. ი.-ს" და ბ. ჩ.-ს უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების და სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

აღნიშნული განჩინების მიღებისას სასამართლომ იხელმძღვანელა შემდეგი მოსაზრებებით:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის "თ" ქვეპუნქტის თანახმად მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ სარჩელი შეტანილია ამავე კოდექსის 178-ე მუხლში მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არსებობს მოსარჩელის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლების, მისი გადახდის გადავადების ან მისი ოდენობის შემცირების საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სარჩელს ხელს აწერს მოსარჩელე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის "ა" პუნქტის თანახმად, სარჩელებზე წარმოებს სახელმწიფო ბაჟის გადახდა. ამავე კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა დამოკიდებულია დავის საგნის ღირებულებაზე და შეადგენს სადაო საგნის ღირებულების 3 %-ს, ხოლო "თ" ქვეპუნქტის შესაბამისად არაქონებრივ დავაზე შეადგენს – 100 ლარს.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეთა მოთხოვნას წარმოადგენდა:

შპს "ს. XX-ზე" და სს "თ.-ზე", შპს "ჭ. ი.-ს" სასარგებლოდ სოლიდარულად ზიანის ანაზღაურების სახით 168.220,33 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში დაკისრება;

შპს "ს. XX-ზე" და სს "თ.-ზე", ბ. ჩ.-ს სასარგებლოდ სოლიდარულად ზიანის ანაზღაურების სახით 112.500 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში დაკისრება;



შპს "ვ. ქ.-ს" ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის სერვიტუტით დატვირთვა, რომელზეც განლაგებული იყო შპს "ვ. ი.-ს" კუთვნილი ელექტრომეურნეობა. ამდენად, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელებს მოპასუხეთა მიმართ გააჩნიათ დამოუკიდებელი მოთხოვნები.

სასამართლო ასევე ხაზგასმით განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობა; ამასთან, სასამართლომ არ მიიჩნია მიზანშეწონილად, რომ აღნიშნული პირები თანამონაწილეებად ჩაეთვალა; სასამართლოს ინიციატივით პირთა თანამონაწილეებად მიჩნევა მიზნად ისახავს საქმის დროულ და სწორად განხილვას, რის გამოც სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა არასავალდებულო თანამონაწილეობა წინამდებარე სამოქალაქო საქმეში არ იყო დასაშვები; იგი უარყოფით გავლენას მოახდენდა დავის სწრაფ და ეფექტურ გადაწყვეტაზე, რომელიც არა მარტო მატერიალურ, არამედ პროცესუალურ-სამართლებრივ გამარტივებულ წარმოებაზეც არის ორიენტირებული და განუმარტა მოსარჩელებს, რომ საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით ცალ-ცალკე წარედგინათ სასამართლოში სარჩელები მოპასუხეების მიმართ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის პირველ ნაწილზე დაყრდნობით სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გააერთიანოს ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ და არა მოთხოვნები სხვადასხვა მოპასუხეების მიმართ.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ცალ-ცალკე სარჩელის შეტანის შემთხვევაში მოსარჩელის უფლებების დარღვევას ადგილი არ ექნებოდა, რადგან ერთის მხრივ, დავის განხილვა უფრო ეფექტურად განხორციელდებოდა და მეორეს მხრივ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე და 182-ე მუხლების მოთხოვნიდან გამომდინარე, სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის მე-2 ნაწილი ეხება იმ შემთხვევას, როდესაც რამდენიმე მოთხოვნა წაყენებული აქვს ერთ მოპასუხეს ანდა რამდენიმე მოპასუხეს, მაგრამ ისინი ერთი სამართალურთიერთობის მონაწილეები არიან. მოცემულ შემთხვევაში კი სახეზე იყო რამდენიმე მოპასუხე, რომელთა მიმართ მოსარჩელებს დამოუკიდებელი მოთხოვნები ჰქონდათ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის შესაბამისად, მოქალაქეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად, ხოლო იურიდიულ პირებს ან სხვა ორგანიზაციებს - იმ თანამდებობის პირის მეშვეობით, რომელსაც წესდებით ან დებულებით შეუძლია ამ იურიდიული პირისა თუ ორგანიზაციის სახელით იმოქმედოს.

ამავე კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს კანონის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის მიხედვით,



უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ უფლებას აძლევს წარმომადგენელს, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სარჩელის აღძვრისა, არბიტრაჟისთვის საქმის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა.

სსს კოდექსის 98-ე მუხლის თანახმად, წარმომადგენლის უფლებამოსილება ამ მუხლში აღნიშნული თითოეული მოქმედების შესრულებისთვის, კერძოდ, წარმომადგენლის მიერ სარჩელის აღძვრისათვის, სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში. მოცემულ შემთხვევაში სარჩელს არ ერთვოდა კანონის მოთხოვნათა დაცვით გაცემული მინდობილობა რომელიც გ. კ.-ს მიანიჭებდა უფლებას მოსარჩელის სახელით აღედრა სარჩელი.

ზემოაღნიშნულ განჩინებაზე 2015 წლის 17 დეკემბერს კერძო საჩივარი წარადგინა მოსარჩელე შპს „ზ. ი.-მ“ და მისმა წარმომადგენელმა - ბ. ჩ.-მ; კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება (ს.ფ. 229-231);

კერძო საჩივარში აღნიშნულია, რომ განსახილველ შემთხვევაში, ფაქტობრივი გარემოებები, მათი ნამდვილობის დასაბუთება და სასარჩელო მოთხოვნების სამართლებრივი საფუძვლები, ორივე მოპასუხის მიმართ იდენტურია. ამასთან, მოპასუხეების ცალ-ცალკე მოქმედების შემთხვევაში, მოსარჩელეებისათვის ზიანის მიყენებას ადგილი არ ექნებოდა.

სსს კოდექსის 86-ე მუხლის მე-2 ნაწილი დასაშვებად მიიჩნევს, სარჩელის წარდგენას რამოდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამოდენიმე მოპასუხის მიმართ, დავის საგნის და საფუძვლის არაერთგვაროვნების შემთხვევაშიც კი, თუ სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია.

საჩივარში აღნიშნულია, რომ განსახილველ შემთხვევაში ერთი ბრალეული ქმედებით (ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა) გამოწვეული ზიანი დათვლილი უნდა იქნას ჯამურად, მიუხედავად დაზარალებული სუბიექტების რაოდენობისა და მიყენებული ზიანის ოდენობისა.

გასაჩივრებული განჩინების ძალაში დატოვების შემთხვევაში, სასამართლო დავა შესაძლოა ვერ გაგრძელდეს, ვინაიდან გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა 16000 ლარს გადააჭარბებს.

კერძო საჩივრის ავტორები განჩინებას მხოლოდ ნაწილობრივ ეთანხმებიან იმასთან დაკავშირებით, რომ შპს „ზ. ი.-ს“ წარმომადგენელი არ იყო აღჭურვილი შესაბამისი



რწმუნებით, თუმცა იმავე სარჩელს ხელს აწერდა ამავე შპს-ს მოქმედი დირექტორი, რომელსაც ასეთი უფლებამოსილება გააჩნდა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განიხილა შპს „**კ. ი.-ს**“ და **ბ. ჩ.-ს** კერძო საჩივარი, მიაჩნია, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 დეკემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების და სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ, უნდა დარჩეს უცვლელი, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

ამავე კოდექსის 390-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე ხელმეორედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით. ამ მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების, ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებას და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

სამოქალაქო საქმეთა პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად.

განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით.

ამავე კოდექსის 177-ე მუხლის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოში სასარჩელო წარმოება იწყება სარჩელის აღძვრით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლში მოცემულია სარჩელის შინაარსი და მითითებულია, თუ რა უნდა აღინიშნოს სარჩელში; ამავე



მუხლის 2¹ პუნქტის შესაბამისად, სარჩელს უნდა ერთვოდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

მოსარჩელებმა – შპს „ჭ. ი.-მ“ და ბ. ჩ.-მ, სარჩელი წარადგინდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხეების – შპს „ს. XX-ს“, სს „თ.-ს“, შპს „ვ. ქ.-ს“ მიმართ;

სასარჩელო მოთხოვნებს წარმოადგენს:

შპს „ჭ. ი.-ს“ სასარგებლოდ შპს „ს. XX-ზე“ და სს „თ.-ზე“, სოლიდარულად ზიანის ანაზღაურების სახით 168.220,33 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში დაკისრება;

ბ. ჩ.-ს სასარგებლოდ შპს „ს. XX-ზე“ და სს „თ.-ზე“, სოლიდარულად ზიანის ანაზღაურების სახით 112.500 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში დაკისრება;

შპს „ვ.-ს ქ.-ს“ ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის სერვიტუტით დატვირთვა, რომელზეც განლაგებულია შპს „ჭ. ი.-ს“ კუთვნილი ელექტრომეურნეობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 09 დეკემბრის განჩინებით შპს „ჭ. ი.-ს“ და ბ. ჩ.-ს უარი ეთქვათ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების და სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

სააპელაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორების იმ მოსაზრებას, რომ დავის საგნის ღირებულება უნდა განისაზღვროს გაერთიანებული მოთხოვნების ჯამით და შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟიც ამ თანხიდან უნდა იქნას გადახდილი;

სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული შემთხვევა განსხვავდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისაგან, რომლითაც დაშვებულია მოსარჩელის (მოცემულ შემთხვევაში ორი მოსარჩელის მიერ აღიძრა სარჩელი და მათ თავიანთი დამოუკიდებელი მოთხოვნები გააჩნიათ მოპასუხეთა მიმართ) ერთ სარჩელში რამდენიმე სხვადასხვა მოთხოვნის გაერთიანება და რომელსაც სამოქალაქო საპროცესო სამართალი სარჩელების ობიექტურ გაერთიანებად მოიხსენიებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება გაერთიანებული მოთხოვნების ჯამით.

ამასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა განმარტავს, რომ სსს კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სარჩელზე შეადგენს დავის საგნის ღირებულების 3%-ს; ამავე კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ფულის გადახდევინების შესახებ სარჩელზე დავის საგნის ფასი განისაზღვრება გადასახდელი თანხით; მოცემულ შემთხვევაში, თითოეულ მოსარჩელე გააჩნია დამოუკიდებელი მოთხოვნა მოპასუხეთათვის მის სასარგებლოდ თანხების



დაკისრების შესახებ; კერძოდ, მოსარჩელე შპს "ზ. ი." მოითხოვს მის სასარგებლოდ შპს "ს. XX-ს" და სს "თ.-ს", სოლიდარულად დაეკისროთ ზიანის ანაზღაურების სახით 168.220,33 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა;

მოსარჩელე ბ. ჩ. მოითხოვს მის სასარგებლოდ შპს "ს. XX-ს" და სს "თ.-ს", სოლიდარულად დაეკისროთ ზიანის ანაზღაურების სახით 112.500 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა; ე.ი. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოში წარდგენილია ერთი სასარჩელო განცხადება, რომელშიც ორი მოსარჩელის სხვადასხვა მოთხოვნაა ასახული; შესაბამისად, ის გარემოება, რომ ორმა მხარემ ერთი სასარჩელო განცხადებით (თითოეულის მიმართ მოპასუხისათვის დასაკისრებელი კონკრეტული თანხების გადახდის მოთხოვნით) მიმართა სასამართლოს, ცხადია გავლენას ვერ მოახდენს დავის საგნის ღირებულების განსაზღვრაზე; რადგან ერთ სარჩელში გაერთიანებულია ორი მოსარჩელის დამოუკიდებელი სარჩელები, შესაბამისად, ამ სარჩელების შეფასება ცალ-ცალკე უნდა მოხდეს და დავის საგნის ღირებულებაც განისაზღვრება არა მოთხოვნების შეჯამებული ფასით, არამედ თითოეული სარჩელის დამოუკიდებელი ღირებულებით.

ასევე შპს "ზ. ი.-ს" სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს:

შპს "ვ. ქ.-ს" ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის სერვიტუტით დატვირთვა, რომელზეც განლაგებულია შპს "ზ. ი.-ს" კუთვნილი ელექტრომეურნეობა.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, სსს კოდექსის 86-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო თანამომადწილეობის მიზანია საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დაჩქარება, ხარჯების შემცირება, ერთმანეთის შეუსაბამო ან საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღების თავიდან აცილება; ამასთან, დასახელებული ნორმის მიხედვით, არასავალდებულო თანამონაწილეობა განპირობებულია იმით, რომ სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლებიდან, ან კიდევ იმით, რომ სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი; მოცემულ შემთხვევაში, არცერთი დასახელებული საფუძველი სახეზე არ არის; შესაბამისად, მოცემული სარჩელის ფარგლებში დასახელებული სასარჩელო მოთხოვნის წარდგენა ეწინააღმდეგება სსს კოდექსის 86-ე მუხლის მიზნებს.

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარე, სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, უფლებამოსილია, ხელშეორედ მიმართოს სასამართლოს სარჩელით, ამასთან, აღმოფხვრას ის ხარვეზი, რაც სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა. უფრო მეტიც, მხარემ უნდა გაითვალისწინოს, რომ ჯეროვანი სასამართლო სამართალწარმოება მხოლოდ ჯეროვანი სარჩელის პირობებშია შესაძლებელი. შესაბამისად, მას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის გზით ეძლევა შესაძლებლობა სარჩელი კანონით დადგენილი წესით მოამზადოს, რათა არასრულყოფილი სარჩელი არ გახდეს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, რითაც მხარეს სასამართლოსათვის



იმავე მოთხოვნით, იმავე საფუძვლითა და იმავე მხარის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის უფლება ერთმევა.

აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს კერძო საჩივარს და თვლის, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 09 დეკემბრის განჩინება უნდა დარჩეს უცვლელი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე, არ გასაჩივრდება.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 377-ე, 419-ე, 420-ე და 390-ე მუხლებით

და ა დ გ ი ნ ა :

- 1) შპს „**კ. ი.-ს**“ და **ბ. ჩ.-ს** კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- 2) ამ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 09 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი;
- 3) განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

თავმჯდომარე:

/ხათუნა არევამე/

მოსამართლეები:

/ლილი ტყემალაძე/

/ვანო წიკლაური/